ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს, ისნის რაიონის

მაჟორიტარი წევრის,

ლევან დავითაშვილის 2021 წლის

ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის’’ 88- ემუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2021 წლის ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია

- გახლავართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისნის რაიონის მაჟორიტარი წევრი. ასევე გახლავართ საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი, ქონების მართვისა და საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის წევრი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება’- დემოკრატიული საქართველო-ს’’ წევრი.

შესავალი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ისნის რაიონის, მაჟორიტარი წევრის ლევან დავითაშვილის წარმომადგენლობა ფუნქციონირებს 2018 წლის 20 თებერვლიდან. საანგარიშო პერიოდში წარმომადგენლობა ხელმძღვანელობდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით,რომელიც თავის საქმიანობას წარმართავდა უფლებამოსილების ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში აქტიურად ვმუშაობდი რომ მოსახლეობის როლი თვითმმართველობის საქმიანობაში გაზრდილიყო. ამ მიზნით ვმართავდი საჯარო განხილვებს, დისკუსიებს და მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით ვგეგმავდით ადგილობრივ ბიუჯეტს.

ასევე, პრობლემების ადგილზე გაცნობის მიზნით წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად ხშირად ვმართავთ გასვლითი ხასიათის შეხვედრებს, სადაც ამხანაგობის თავმჯომარეებთან და ასევე, პრობლემების ადგილზე გაცნობის მიზნით წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად ხშირად ვმართავთ გასვლითი ხასიათის შეხვედრებს.

ტრადიციულად ყოველ ოთხშაბათს ვმართავ მოქალაქეთა მიღებას, სადაც ინტენსიურად ჟღერდება დასაქმებასთან,სოციალურ საკითხებთან და მიწის ლეგალიზებასთან არსებული საკითხები. რაც შეეხება დასაქმების კუთხით არსებულ საკითხებს, მაქსიმალურად ვცდილობ ჩემი კომპეტენციის ფარგლებში გავუწიო როგორც სიტყვიერი, ასევე წერილობითი რეკომენდაციები მოქალაქეებს, რაც უმეტეს შემთხვევაში დაკმაყოფილებულია.

მოსახლეობა

- მრავალეთნიკური
- მაცხოვრებელი - 55 000
- ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა - 43 700
- დაყოფილია საარჩევნო უბნად - 29
- რაიონში სკოლების რაოდენობა - 6
- რაიონში ბაგა-ბაღების რაოდენობა - 7
- სკოლის მოსწავლეების რაოდენობა - 7216
- საბავშვო ბაღის აღსაზრდელი - 2879
- უფასო სასადილოების ბენეფიციარი - 1096

შემოსული განცხადებები:

შემოსული განცხადებების უმეტესობა სოციალურ საკითხებს წარმოადგენს, კერძოდ: ოპერაციების, მკურნალობის, კვლევებისა და მედიკამენტების დაფინანსება, ასევე, ბევრ მათგანს შუამდგომლობის საფუძველზე გაეწია მიზნობრივიფულადი დახმარება. სულ მოგვმართა 608 მოქალაქემ აქედან კონსულტაცია გაეწია 176 მოქალაქეს და გადამისამართებულ იქნა შესაბამის სამსახურებში.

1. **სოციალური შინაარსის წერილები** :

   1.1. მედიკამენტებით დახმარება გაეწია - 222 ადამიანს.

   1.2. სამედიცინო მომსახურება -26 ადამიანს.

   1.3.მიზნობრივი ფულადი დახმარება გაეწია - 174 ადამიანს.

   1.4 სხვა - 10

ასევე, უნდა ავღნიშნოთ, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი ლევან დავითაშვილი თავის კუთვნილ ხელფასს ყოველთვიურად ურიცხავს სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეებს სხვადასხვა საჭიროების მიხედვით.

აღნიშნული ფონდიდან საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: 55 ადამიანი, ჯამურად 27,500 ლარის ოდენობით.

- **ინფრასტრუქტურული სამუშაოები:**

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ საკითხებს, 2021 წელს ინფრასტრუქტურის კუთხით ჩატარდა შემდეგი სარეაბილიტაციო სამუშაოები, კერძოდ: საგზაო სამუშაოები; სპორტული მოედნების მოწყობა რეაბილიტაცია; სკვერების კეთილმოწყობა - რეაბილიტაცია, სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და სხვა.

- **გამგეობის მიერ, განხორციელდა საგზაო და კეთილმოწყობითი სამუშაოები სხვადასხვა მისამართებზე.**

გზების მოვლა- შეკეთება 2021 წელი

1	ვარკეთილის IV მ/რ III კვ კორპუსი №2
2	წულუკიძის IV შესახვევი კორპუსი №5-7
3	წულუკიძის IV შესახვევი კორპუსი №4
4	წულუკიძის IV შესახვევიდან შანდორ პეტეფის ქუჩამდე
5	დ. კვაჭანტირაძის ქ №22
6	მ მშველიძის ქუჩიდან ვაზისუბნის II მ/რ კორპ №13 მდე
7	წულუკიძის მე-3 შესახვევი კორპუსი №6
8	ვაზისუბნის დასახლება ბ/ბაღის №182 მიმდებარედ
9	ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №12
10	ვაზისუბნის მე-3 მ/რ მე-2 კვ კორპუსი №6
11	ნ მუსხელიშვილის ქუჩა
12	ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №23-ის მიმდებარედ
13	სამგორის დასახლება კორპუსი №28-28ა-29 მიმდებარედ შიდა ეზო
14	კახეთის გზატკეცილი კორპუსი №7
15	სულაქველიძის ქუჩა

ისნის რაიონის გამგეობის 2021 წლის კეთილმოწყობის სამუშაოები
სკვერი და ბავშვთა გასართობი მოედნები:

1	ვაზისუბნის I მ/რ კორპუსი №16 მიმდებარედ
2	ვაზისუბნის IV მ/რ I კვ კორპუსი №13 მიმდებარედ
3	ვაზისუბნის III მ/რ II კვ კორპუსი №3
4	ვაზისუბნის I მ/რ კორპუსი №9
5	ვარკეთილის IV მ/რ III კვ. კორპ. №14
6	კახეთის გზატკეცილი №36-ვ მიმდებარედ
7	ვაზისუბნის დასახლება კორპუსი №23 მიმდებარედ
8	კახეთის გზატკეცილი №7
9	კახეთის გზატკეცილი №38

სპორტული მოედნები:

1	ვაზისუბნის დას. კორპ. №23 მიმდებარედ

რკინა-ბეტონის კიბეები:

1	ვაზისუბნის დას. კორპუსი №7
2	წულუკიძის III შესახვევი კორპუსი №2
3	სამგორის დასახლება კორპუსი №32

"ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში ვაზისუბნის ტერიტორიულ ერთეულის ტერიტორიაზე მიმდინარე 2021 წლის I,II კვარტალში შესრულებული სამუშაოები:

N	მისამართები	შესრულებული სამუშაო
1	ვაზისუბნის III მ/რ, IIკვ. კორპ. №15	კარი
2	წულუკიძის I შეს. კორპ. №4ა	კარი
3	წულუკიძის I შეს. კორპ. №3	კარი
4	წულუკიძის IV შეს. კორპ. №3	სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა
5	წულუკიძის IV შეს. კორპ. №7	სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა
6	წულუკიძის IV შეს. კორპ. №5	სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა
7	წულუკიძის IV შეს. კორპ. №1	კარი
8	წულუკიძის III შეს. კორპ. №9	სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა
9	წულუკიძის IV შეს. კორპ. №1	სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა
10	ვაზისუბნის დას. კორპ. №11	კარი
11	ვაზისუბნის დას. კორპ. №9	სენსორული სანათები
12	ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. №17	კარი
13	ვაზისუბნის II მ/რ, კორპ. №11	კარი
14	ალ. წულუკიძის I ჩიხი, კორპ. №2	შიდა წყალ-კანალიზაცია
15	ვაზისუბნის დას. კორპ. №11	სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა
16	კახეთის გზატკეცილი №36	სენსორული სანათები

17	ვაზისუბნის დას. კორპ. №19ა	სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა
18	ვაზისუბნის დას. კორპ. №15	შიდა წყალ-კანალიზაცია
19	ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. კორპ. №6	შიდა წყალ-კანალიზაცია
20	ვაზისუბნის II მ/რ, კორპ. №6	შიდა წყალ-კანალიზაცია
21	ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. №13	შიდა წყალ-კანალიზაცია
22	ვარკეთილის IV მ/რ, III კვ. კორპ. №12	კიბე (ქვა)
23	ვაზისუბნის IV მ/რ, I კვ. კორპ. №16	შიდა წყალ-კანალიზაცია
24	გ. ონაშვილის ქ. კორპ №4	შიდა წყალ-კანალიზაცია
25	ვაზისუბნის დას. კორპ. №21	შიდა წყალ-კანალიზაცია
26	სამგორის დას. კორპ. №28ა	შიდა წყალ-კანალიზაცია
27	ვაზისუბნის დას. კორპ. №9	შიდა წყალ-კანალიზაცია
28	სამგორის დას. კორპ. №31	შიდა წყალ-კანალიზაცია
29	ვაზისუბნის დას. №22	კიბე (ქვა)
30	სამგორის დას. კორპ. №28	შიდა წყალ-კანალიზაცია
31	ვაზისუბნის დას. კორპ. №12	შიდა წყალ-კანალიზაცია
32	ვაზისუბნის დას. კორპ. №15	ბრტყელი სახურავი და წყალსაწრეტი მილები
33	წულუკიძის I ჩიხი კორპ. №6	ბრტყელი სახურავი და წყალსაწრეტი მილები
34	ვაზისუბნის დას. კორპ. №19ა	ბრტყელი სახურავი და წყალსაწრეტი მილები
35	წულუკიძის I შეს. კორპ. №4	სადარბაზოს რემონტი
36	ვაზისუბნის III მ/რ, IIკვ. კორპ. №9	კიბე (ქვა)
37	ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. №18	ბრტყელი სახურავი

38	ვაზისუბნის დას. კორპ. №2ა	ბრტყელი სახურავი და წყალსაწრეტი მილები
39	ვაზისუბნის I მ/რ, კორპ. №15	სადარბაზოს რემონტი
40	ვაზისუბნის დას. კორპ. №27	სადარბაზოს რემონტი
41	ვაზისუბნის II მ/რ, კორპ. №2	ბრტყელი სახურავი
42	ვაზისუბნის IV მ/რ, II კვ. კორპ. №17	სადარბაზოს რემონტი
43	ვაზისუბნის IV მ/რ, II კვ. კორპ. №2	სადარბაზოს რემონტი

ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში, ფრაქციის, ბიუროს სხდომებში და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ 2020 წლის ნოემბრიდან დღემდე:

როგორც, თბილისის საკრებულოს წევრი ვესწრებოდი სხდომებს:

- ფრაქცია ,, ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსათვის“ ჩატარებული სხდომების რაოდენობა შეადგენს - 16 დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 25, დავესწარი 7 სხდომას.
- სარევიო კომისიის სხდომა, სულ ჩატარდა - 17 სხდომა, განხილულ იქნა - 28 საკითხი, დავესწარი - 15 სხდომას.
- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, 2020 წლის ნოემბრიდან სულ ჩატარდა - 24 სხდომა, განხილულ იქნა 233 საკითხი, დავესწარი 17 სხდომას.
- 2020 წლის 6 ნოემბრიდან სულ ჩატარდა - 22 საკრებულოს სხდომა. მიღებულ იქნა- 547 განკარგულება და 111 დადგენილება.

სხვა აქტივობები

- მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაში ახალი კორონავირუსის გავრცელებისა და მსოფლიო პანდემიის გამო, მოსახლეობის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად მთელი რიგი შეზღუდვები დაწესდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარი დარჩა, ასევე რისკ ჯგუფში მყოფ ადამიანებს აეკრძალათ გადაადგილება, რაც განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მარტოხელა მოხუცებისთვის. სწორედ ამ მოწყვლადი ჯგუფების (შშმ პირები, მარტოხელა მოხუცები, უმუშევრად დარჩენილი ოჯახები, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირები) დასახმარებლად გამოვიჩინე ინიციატივა და ჩემი წარმომადგენლობის თანამშრომლებთან ერთად 250 ოჯახი მომარაგდა საკვები პროდუქტებით, პირველადი მოხმარების ნივთებითა და ჰიგიენური საშუალებებით.
- ასევე ჩემს წარმომადგენლებთან ერთად სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით, ჩვენს სამაჯორიტარო ოლქში არსებული ტაძრები მოვამარაგეთ საკვები პროდუქტებით, რომელიც გათვალისწინებული იქნა სოციალურად შეჭირვებულ მრევლზე.
- გარემოსდაცვითი სტრატეგია ქალაქის მდგრადი განვითარების წინაპირობაა. ჩვენი მიზანი ქალაქის ეტაპობრივი გამწვანება, ეკოსისტემის დაცვა და გაუმჯობესებაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი საცხოვრებელი გარემოს შექმნას. ამასთან დაკავშირებით ჩვენს მაჯორიტარულ ოლქში რამოდენიმე ლოკაციაზე, მათ შორის N182 და N121 საბავშვო ბაგა-ბაღის ტერიტორიაზე დავრგეთ 30 ძირი კიპაროსი.
- ჩვენს მაჯორიტარულ ოლქში მცხოვრებ ტრაგიკულად დაღუპულ, 19 წლის ფეხბურთელის, გიორგი შაქარასვილის მეგობრების ინიციატივით და ჩემი მხარდაჭერით მისი ხსოვნის პატივსაცემად ვაზისუბანში სადაც გიორგი შაქარაშვილი დაიბადა და გაიზარდა,მისი სახელობის წყარო გავხსენით. გიორგი შაქარაშვილის, ისევე, როგორც ნებისმიერი ახალგაზრდის გარდაცვალება, არა მხოლოდ უბნის ან დედაქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის ტრაგედიაა და ვისურვებდი აღარასდროს განმეორდეს.
- მოქალაქეების მოთხოვნის საფუძველზე ჩვენს სამაჟორიტარო ოლქში კერძოდ ვარკეთილის 4/3 კვ-ის მცხოვრებლებს საცხოვრებელი

მისამართის გამო ექმნებოდათ გარკვეული პრობლემები. ჩვენი შუამდგომლობის საფუძველზე და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის გადაწყვეტილებით აღნიშნული პრობლემა აღმოიფხვრა და დასახლებას ეწოდა ვაზისუბნის 4/3 კვარტალი.

- თბილისის საკრებულოს მიერ ორგანიზებულ კონკურსში ,,პანდემია, როგორც შესაძლებლობა“ საინფორმაციო კამპანიაში, ისნის რაიონის კერძოდ, ვაზისუბანსა და მე-8 ლეგიონში არსებული საჯარო და კერძოს სკოლები ჩაერთო,რომელშიც გამარჯვებულ სკოლებს შორის ჩემს ოლქში არსებული N172 საჯარო სკოლა დასახელდა.